ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3537328

ნომერი: AR1537372

თარიღი : 04.09.2017

გაცემის თარიღი : 14.09.2017

გაცნობის თარიღი : 14.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიზკულტურის , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიზკულტურის , N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორიშვილი , (ფიზკულტურის) N24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა მჭედლიძე პ/ნ 01009000789
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 36 ბ. 44

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 18 აპრილის №624836 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 4 სექტემბრის №AR1537372 განცხადებით მომართეს პაატა მჭედლიძემ და გიორგი ალავერდაშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 18 აპრილის №624836 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ –

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 18 აპრილის №624836 გადაწყვეტილებით, ქალაქი თბილისში, ქუჩა ფიზკულტურის, N 26-ში და N24-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (# 01.10.13.023.025; 01.10.13.023.124; 01.10.13.023.041; მიწის ნაკვეთის ფართობი: 628 კვ.მ; 456 კვ.მ; 424 კვ.მ) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2014 წლის 5 მაისის 1252894 ბრძანებით ცვლილება შევიდა ხსენებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა #01.10.13.023.158 საკადასტრო გეგმა, კოდი და ფართობი 1507 კვ.მ.

დღევანდელი მდგომარეობით შეცვლილიამიწის ნაკვეთის მხოლოდ საკადასტრო საზღვრები და კონფიგურაცია ფართის და კოდის უცვლელად, აღნიშნულმა გამოიწვია მიწის ნაკვეთის ორ ფუნქციურ ზონაში მოქცევა და ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ–1)–ში და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)–ში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 18 აპრილის №624836 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდით #01.10.13.023.158, ფართობი: 1507 კვ.მ; რეგისტრაციის ნომერი #882017585942; რეგისტრაციის თარიღი 03/07/2017 წ.).
2. ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრის გრაფაში დაფიქსირდეს:საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ–1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1);
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 18 აპრილის №624836 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დამატოს შენიშვნა: „დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, შენობა–ნაგებობის განთავსება განხორციელდეს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ–1) –ის არეალში (იხილეთ დანართი).“;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 18 აპრილის №624836 გადაწყვეტილებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.